ევროპის მწვანე შეთანხმება

დასახული მიზნების შესრულება

შინაარსი

03 2050 წლისთვის ევროკავშირის კლიმატ-ნეიტრალურ ტერიტორიად გარდაქმნა

06 ჩვენი ეკონომიკისა და საზოგადოების გარდაქმნის გეგმა

10 მდგრადი ტრანსპორტი ყველასთვის

13 მესამე ინდუსტრიული რევოლუციისაკენ

16 სუფთა ენერგეტიკული სისტემა

18 შენობების რეაბილიტაცია უფრო მწვანე ცხოვრების წესისათვის

21 მუშაობა ბუნებასთან პლანეტისა და ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად

24 კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება

2050 წლისთვის ევროკავშირის კლიმატ-ნეიტრალურ ტერიტორიად გარდაქმნა

გარდამტეხი ათწლეული უკვე დაიწყო

ევროპის გარდაქმნა მსოფლიოში პირველ კლიმატ-ნეიტრალურ კონტინენტად: ეს არის ჩვენ მიერ დასახული მიზანი.

ამ ამბიციური გზის პირველ უმნიშვნელოვანეს ეტაპს **2030 წლისთვის ემისიების 55%-ით შემცირება წარმოადგენს.** მიმდინარე ათწლეული გადამწყვეტი იქნება.

რას ვაკეთებთ:

2019 წლის დეკემბერი

კომისიამ წარმოადგინა ევროპის მწვანე შეთანხმება, რომლის მიზანს 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევა წარმოადგენს

2020 წლის მარტი

კომისია გამოდის წინადადებით, კლიმატის შესახებ ევროპულ კანონში 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალურობის მიზანი სავალდებულო საკანონმდებლო მოთხოვნად განისაზღვროს

2020 წლის სექტემბერი

55%

კომისია გამოდის წინადადებით, დადგინდეს ევროკავშირის ახალი მიზანი, რომელიც 2030 წლისთვის ემისიების სულ მცირე 55%-ით შემცირებას ითვალისწინებს და ის კლიმატის შესახებ ევროპულ კანონში აისახოს

2020 წლის დეკემბერი

ევროპელი ლიდერები მხარს უჭერენ კომისიის მიერ შემოთავაზებულ მიზანს, რომელიც 2030 წლისთვის ემისიების სულ მცირე 55%-ით შემცირებას ითვალისწინებს

2021 წლის აპრილი

ევროპარლამენტისა და წევრი სახელმწიფოების მიერ მიღწეულია პოლიტიკური შეთანხმება კლიმატის შესახებ ევროპული კანონის თაობაზე

2021 წლის ივნისი

ძალაში შედის ევროპული კანონი კლიმატის შესახებ

2021 წლის ივლისი

კომისია წარადგენს ეკონომიკის გარდაქმნის წინადადებების პაკეტს 2030 წლისთვის კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად

ევროპარლამენტი და წევრი სახელმწიფოები აწარმოებენ მოლაპარაკებებს და ამტკიცებენ საკანონმდებლო პაკეტს 2030 წლისთვის კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად

2030

2030 წლისთვის ევროკავშირი აღწევს 1990 წლის მაჩვენებლებთან შედარებით ემისიების სულ მცირე 55%-ით შემცირების მიზანს

2050

2050 წლისთვის ევროკავშირი კლიმატ-ნეიტრალური ხდება

ჩვენი ეკონომიკისა და საზოგადოების გარდაქმნის გეგმა

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ყველაზე დიდი გამოწვევაა, რაც ახალი ეკონომიკური მოდელის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენ **კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში გადამწყვეტ ფაზაში ვიმყოფებით.** ჩვენ ვართ ის ბოლო თაობა, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია დროული ზომების მიღება. ჩვენ შეგვიძლია გლობალური ტემპერატურის ზრდის ტემპის 2 გრადუსამდე შეჩერება, ჩვენი საარსებო წყაროების გადარჩენა, სახეობების გადაშენების შეჩერება და მომავალი თაობებისთვის ჩვენი პლანეტის დაცვა.

ევროკავშირი, როგორც მსოფლიო ლიდერი კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ლიდერია საკუთარი მაგალითით.

2019 წლის დეკემბერში მიღებულმა **ევროპულმა მწვანე შეთანხმებამ ამ გარდამტეხი ცვლილებების საფუძველი შექმნა.**

2050 წლისთვის ევროკავშირის პირველ კლიმატ-ნეიტრალურ კონტინენტად გარდაქმნის ვალდებულება ევროკავშირის 27-მა წევრმა სახელმწიფომ აიღო, რაც გულისხმობს იმას, რომ 2030 წლისთვის ემისიები, 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით სულ მცირე 55%-ით უნდა შემცირდეს.

ეს არის კლიმატის შესახებ პირველ ევროპულ კანონში განსაზღვრული სამართლებრივი ვალდებულებები, **რომლებიც ქმნიან ინოვაციების, ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ახალ შესაძლებლობებს.**

ამ გარდაქმნის შედეგად:

შეიქმნება სამუშაო ადგილები და წახალისდება ზრდა

გაუმჯობესდება ჩვენი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

გადაიჭრება ენერგიის დეფიციტის პრობლემა

შემცირდება ემისიები

შემცირდება ჩვენი დამოკიდებულება ენერგიის იმპორტზე და გაუმჯობესდება ენერგომომარაგება

ჩვენი ეკონომიკის ყველა დარგის გარდაქმნა 2030 წლისთვის კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად

წინადადებების ეს პაკეტი მიზნად ისახავს **ევროკავშირის ეკონომიკის ყველა სექტორის ამ გამოწვევასთან შესაბამისობაში მოყვანას.** ის ევროკავშირს 2030 წლისთვის კლიმატთან დაკავშირებული მიზნების **სამართლიანი, კომპეტენტური და კონკურენტული მეთოდებით მიღწევის გზაზე აყენებს.**

თანასწორი, კონკურენტული და მწვანე გარდაქმნა

მიზანს **გარდამავალ პერიოდში შესაძლებლობების ყველასთვის შექმნა წარმოადგენს.** ეს პაკეტი, უთანასწორობის და **ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევის გზით, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარების გზებს გვთავაზობს.**
ის ასვე **უზრუნველყოფს ჩვენი კომპანიებისათვის თანასწორი პირობების შექმნას** მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

მისი მიზანია, **მოუტანონ ხალხს სარგებელი რაც შეიძლება სწრაფად და სამართლიანად ხვალინდელი სამუშაო ადგილების შექმნის**, გაჭირვებულთა დაცვისა და ჩვენი კომპანიების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის გზით.

ეს წინადადებები ითვალისწინებს:

განახლებადი ენერგიის მაქსიმალურად გამოყენებას

ახალი სუფთა მანქანებისა და უფრო სუფთა საწვავის გაყიდვას ბაზარზე

ამჟამად არსებული მანქანებისთვის, თვითმფრინავებისა და გემებისათვის ნახშირბადის გადასახადის შემოღებას სხვადასხვა დარგებისათვის

ენერგიის დაზოგვის მიზნებს

ენერგიის წყაროების დაბეგვრას კლიმატთან დაკავშირებული მიზნების შესაბამისად

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარებას, გარდამავალ პერიოდში დამატებითი ხარჯებისგან მათ დაცვას

ეს წინადადებები უზრუნველყოფენ ევროპის მწვანე შეთანხმების შესაბამისად ევროკავშირის ეკონომიკის ღრმა და სამართლიანი გარდაქმნისათვის საჭირო ინსტრუმენტებს



მდგრადი ტრანსპორტი ყველასთვის

მწვანე მობილობაზე გადასვლა მიზნად ისახავს სუფთა და ხელმისაწვდომი ტრანსპორტის შეთავაზებას ყველასათვის, მათ შორის ყველაზე შორს მდებარე ადგილებში მცხოვრები ადამიანებისათვისაც.

კლიმატთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად **ტრანსპორტის სექტორი ნულოვანი ემისიების უზრუნველყოფის გზაზე უნდა დავაყენოთ**. კლიმატ-ნეიტრალურობის მისაღწევად, 2050 წლისთვის ტრანსპორტის ემისიები 90%-ით უნდა შევამციროთ.

უფრო სუფთა მანქანები, უფრო სუფთა ჰაერი

ევროკომისია გვთავაზობს **უფრო ამბიციურ მიზნებს ახალი ავტომანქანებიდან და ფურგონის ტიპის ავტომანქანებიდან CO^2–ის ემისიების შესამცირებლად.**

2030 წლამდე ავტომანქანებიდან ემისიები 55%-ით უნდა შემცირდეს, ხოლო 2035 წლისთვის ახალ ავტომანქანებს ნულოვანი ემისია უნდა ჰქონდეთ.

ევროკომისია ასევე ხელს უწყობს ნულოვანი და დაბალემისიანი ავტომანქანების ბაზრის ზრდას. კერძოდ, ის ცდილობს მოქალაქეები უზრუნველყოს მოკლე და გრძელ მანძილებზე გადასაადგილებლად ავტომანქანების დასამუხტი ინფრასტრუქტურით.

ევროკომისია გვთავაზობს **საწვავის ინფრასტრუქტურის** - ელექტროენერგიით დამუხტვისა და წყალბადით გასამართი პუნქტების ალტერნატიულ შესაძლებლობებს.
ეს ძალიან მნიშვნელოვანია სუფთა სატრანსპორტო საშუალებების ფართოდ დასანერგად.

გარდა ამისა, **2026 წლიდან საგზაო ტრანსპორტს შეეხება ემისიებით ვაჭრობა, რომელიც გულისხმობს დაბინძურებაზე გადასახადის შემოღებას,** სუფთა საწვავის გამოყენების სტიმულირებასა და ინვესტიციებს სუფთა ტექნოლოგიებში.

2035 წლისთვის ყველა ახალ მანქანას

CO2-ის ნულოვანი

ემისია ექნება

მამაკაცი თავის ელექტრომობილს ელექტროენერგიით საზოგადოებრივ პუნქტში მუხტავს, ამსტერდამი, ნიდერლანდები.

მდგრადი ავიაციის ხელშეწყობა და ავიაციის მიერ კლიმატზე საკუთარი ზემოქმედების კომპენსირების უზრუნველყოფა

ევროკომისია **ნახშირბადის გადასახადის შემოღებას საავიაციო სექტორშიც გვთავაზობს, რომელიც დღემდე გამონაკლისით სარგებლობს.**

ის ასევე გვთავაზობს **მდგრადი საავიაციო საწვავის პოპულარიზაციას** - ევროკავშირის აეროპორტებიდან აფრენისას ყველა თვითმფრინავის მდგრადი შერეული საწვავით შევსების ვალდებულების გზით.

ევროკომისია ასევე მოითხოვს, რომ მსხვილმა **აეროპორტებმა უზრუნველყონ თვითმფრინავებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება ყველა გასასვლელში.**

გემების ემისიების შემცირების ახალი წესები

ევროკომისია **ნახშირბადის გადასახადის შემოღებას საზღვაო სექტორშიც** გვთავაზობს. ეს ხელს შეუწყობს ევროკავშირის პორტებში შემავალი ან გამომავალი გემების მიერ მდგრადი საწვავის გამოყენებას. გემები, რომლებიც არ დააკმაყოფილებენ დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებს, შემაკავებელ ფულად ჯარიმას გადაიხდიან.

ევროკომისია ასევე განსაზღვრავს **მიზნებს მსხვილ პორტებში ენერგიის სანაპირო წყაროებიდან გემების მომსახურებასთან დაკავშირებით, კერძოდ მოითხოვს ისეთი დამაბინძურებელი საწვავის გამოყენების შემცირებას, რომელიც ადგილობრივი ჰაერის ხარისხს აქვეითებს.**

Hydroville - პირველი სერტიფიცირებული სამგზავრო მცურავი საშუალება, რომელიც დიზელის ძრავისთვის წყალბადს იყენებს, ანტვერპენი, ბელგია

მესამე ინდუსტრიული რევოლუციისაკენ

„მწვანე“ გარდაქმნა, სუფთა ტექნოლოგიებისა და პროდუქტების ბაზრების შექმნით, ევროპის მრეწველობას დიდ შესაძლებლობებს უხსნის.

წინადადებები იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩვენს **მრეწველობას შეუძლია სათავეში ჩაუდგეს გარდაქმნებს** და უზრუნველყოფს მას ინვესტიციებისა და ინოვაციების გაზრდისათვის საჭირო საფუძვლებით.

ჩვენ **გავაძლიერებთ მრეწველობის დარგში ნახშირბადის გადასახადის სისტემას.** ნახშირბადის გადასახადით მიღებული დამატებითი შემოსავლები ხელს შეუწყობს ინოვაციებს, მათ შორის ინოვაციების განახლებული ფონდის საშუალებით.

ეს წინადადებები ზემოქმედებას მოახდენს ისეთი დარგების ღირებულებათა ჯაჭვებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი და მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს **ევროპაში მდგრადი, ადგილობრივი და კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას.**

ინვესტიციები დაბალნახშირბადიან ეკონომიკაში ხელს შეუწყობს COVID-19 კრიზისის შემდგომ „მწვანე“ აღდგენას.

ეკონომიკის ელექტრიფიკაცია და განახლებადი ენერგიის უფრო ფართოდ გამოყენება **ამ დარგებში მეტ სამუშაო ადგილებს შექმნის.**

შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდა მშენებლობის სექტორში სამუშაო ადგილებს შექმნის, გაიზრდება მოთხოვნა ადგილობრივ მუშახელზე.

წინადადებები ხელს უწყობს სუფთა ახალი ავტომანქანებისა და უფრო სუფთა საწვავის გაყიდვების ზრდას, რაც **ევროპულ საავტომობილო წარმოებას დიდ შესაძლებლობებს უხსნის.**

2020 წელს ევროპაში რეგისტრირებული უნდა იყოს

1

მილიონი

ახალი ელექტრომობილი, რაც სამჯერ აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს

2030 წლისთვის ევროპის გზებზე სავარაუდოდ ნულოვანი ემისიის მქონე

30

მილიონი

ავტომანქანა იმოძრავებს

ჩვენ გვინდა, შევინარჩუნოთ ჩვენი ამბიციები ისე, რომ ჩვენი მრეწველობის მიერ ემისიების შემცირებისკენ მიმართულ ძალისხმევას საზღვარგარეთის ქვეყნების უთანასწორო კონკურენციის შედეგად საფრთხე არ შეექმნას.

კომისია გვთავაზობს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს კლიმატთან დაკავშირებით ნაკლებად მკაცრი ქვეყნების **კომპანიების მიერ ნახშირბადის გადასახადის გადახდას ევროკავშირში საკუთარი პროდუქციის იმპორტის განხორციელებისას.**

ეს **ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში წარმატების მისაღწევად**, ვინაიდან ამ გზით თავიდან იქნება აცილებული ემისიების უბრალოდ სხვა ადგილებში გადატანა, რაც ევროკავშირის ძალისხმევას უშედეგოს გახდის.

საკონტეინერო გემი ჰამბურგის პორტში, გერმანია.

სუფთა ენერგეტიკული სისტემა

2030 წლისთვის სათბურის აირების ემისიების სულ მცირე 55% -ით შესამცირებლად აუცილებელია განახლებადი ენერგიის უფრო ფართოდ გამოყენება და ენერგოეფექტურობის ამაღლება.

ევროკომისია ევროკავშირის **ენერგეტიკის სტრუქტურაში განახლებადი ენერგიის წილის სავალდებულო მიზნობრივი მაჩვენებლის 40%-მდე გაზრდას გვთავაზობს**. გარდა ამისა, ქვეყნების საორიენტაციო ეროვნული წვლილები ამ მიზნის მისაღწევად თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ შესატანი წვლილის სიდიდეს აჩვენებს. წინადადებები ხელს უწყობს განახლებადი საწვავის, მაგალითად, წყალბადის ფართოდ გამოყენებას მრეწველობასა და ტრანსპორტში, ახალი მიზნობრივი მაჩვენებლების შესაბამისად.

გარდა ამისა, ენერგიის მოხმარების შემცირება მნიშვნელოვანია მომხმარებლებისა და მრეწველობისათვის **ემისიებისა და ენერგიის ხარჯების შესამცირებლად**. ევროკომისია გვთავაზობს ევროკავშირის დონეზე **ენერგიის დაზოგვის მიზნობრივი მაჩვენებლების გაზრდასა** და მათთვის სავალდებულო ხასიათის მიცემას 2030 წლისთვის 36%-იანი შემცირების მისაღწევად. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ეროვნული საორიენტაციო მიზნობრივი მაჩვენებლებით იხელმძღვანელებენ.

განახლებადი ენერგიის ახალი მიზნობრივი მაჩვენებელი 2030 წლისთვის

ენერგოეფექტურობის ახალი მიზნობრივი მაჩვენებელი 2030 წლისთვის

40% **36%**

ენერგეტიკული პროდუქტების საგადასახადო სისტემამ, სწორი მიმართულებების წახალისებით, **ხელი უნდა შეუწყოს მწვანე გარდაქმნას.**

ევროკომისია გვთავაზობს გათბობისა და ტრანსპორტის გადასახადის მინიმალური განაკვეთების შესაბამისობაში მოყვანას კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებთან და ამავე დროს **სოციალური ზემოქმედების შერბილებასა და დაუცველი მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევას.**

იგი ასევე **გვთავაზობს იმ გამონაკლისებისა და შეღავათების გაუქმებას, რომლებიც ხელს უწყობენ წიაღისეული საწვავის გამოყენებას,** მაგალითად საავიაციო და საზღვაო სექტორში.

ტალღები ეხეთქებიან ლა-მანშის სრუტეში მდებარე ბულონ-სიუ-მერის (საფრანგეთი) პორტის სანაპიროს, სადაც ქარის ტურბინებია დამონტაჟებული.

შენობების
რეაბილიტაცია
უფრო მწვანე
ცხოვრების
წესისათვის

Buildings account for:

ევროკავშირის მიერ ენერგიის მოხმარების

40%

ენერგეტიკასთან დაკავშირებული სათბურის აირების ემისიების

36%

ჩვენი სახლებისა და შენობების რეაბილიტაციის შედეგად დაიზოგება ენერგია, გაიზრდება სიცხისა და სიცივისაგან დაცვის ხარისხი და შემცირდება ენერგეტიკული სიღარიბის დონე.

შენობების რეაბილიტაცია, განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით, მნიშვნელოვანია შენობებში ენერგიის მოხმარების, ემისიებისა და გადასახადების შესამცირებლად. გარდა ამისა, რეაბილიტაცია ქმნის სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას.

კლიმატის სოციალური ფონდი

კლიმატის ახალი სოციალური ფონდი დაეხმარება ენერგეტიკული ან მობილობის კუთხით ღარიბ ან ამგვარი რისკის ქვეშ მყოფ ევროკავშირის მოქალაქეებს. ეს მექანიზმი იმ ადამიანებს, რომლებიც ცვლილებების უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოექცევიან, ხარჯების შემცირებაში დაეხმარება და **ამ გზით უზრუნველყოფს გარდაქმნის პროცესის თანასწორობასა და სამართლიანობას.**

7 წლის განმავლობაში ის გამოყოფს 72.2 მილიარდ ევროს გამოყოფს შენობების რეაბილიტაციის, ნულოვანი და დაბალემისიანი ტრასპორტის ხელმისაწვდომობისა თუ შემოსავლების უზრუნველყოფის დასაფინანსებლად.

იმ სახლების გარდა, რომლებსაც ვქირაობთ ან ვფლობთ, რეაბილიტაციას საზოგადოებრივი შენობებიც - სკოლები, საავადმყოფოები, ქალაქის მერიები, სპორტული ცენტრები და სხვ., უნდა დაექვემდებაროს იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს განახლებადი ენერგიის უფრო ფართოდ გამოყენება და ენერგოეფექტურობის უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევა.

მზის ბატარეები ახალ შენობებზე ბეერსელში, ბელგია.

ევროკომისიის წინადადებით

3%-ის
რეაბილიტაცია

წევრმა სახელმწიფოებმა ყოველწლიურად უნდა უზრუნველყონ საჯარო შენობების ფართობის სულ მცირე

2030 წლისთვის შენობებში უნდა მოხდეს

49%

განახლებადი მასალების გამოყენება

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ გათბობისა და გაგრილების სისტემებში განახლებადი ენერგიის გამოყენების ზრდა წელიწადში

+1.1%-ით,
2030 წლამდე

მუშაობა ბუნებასთან პლანეტისა და ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად

ბუნება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი მნიშვნელოვანი მოკავშირეა.

ბუნება არეგულირებს კლიმატს, შთანთქავს და აკავებს ნახშირბადს და ბიოეკონომიკას ძვირფასი განახლებადი რესურსებით უზრუნველყოფს. **ბუნების აღდგენა და ბიომრავალფეროვნების გაძლიერება ნახშირბადის შთანთქმისა და შეკავების უზრუნველყოფის ყველაზე სწრაფი და იაფი საშუალებაა.**

ამიტომ, ევროკომისია **ევროპის ტყეების, ნიადაგების, ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და ტორფნარების აღდგენას** გვთავაზობს. ეს გაზრდის CO2-ის შთანთქმის მაჩვენებელს და კლიმატის ცვლილების მიმართ გარემოს მდგრადობას.

ამ რესურსების ცირკულარული და მდგრადი მართვა **გააუმჯობესებს ჩვენს საცხოვრებელ პირობებს და გარემოს მდგომარეობას**, შექმნის ხარისხიან სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფს ენერგორესურსების მდგრადობას.

ნახშირბადის ბუნებრივი შთანთქმის ახალი მიზნობრივი მაჩვენებლები

ევროკომისიამ 2030 წლისთვის 3 მილიარდი ხის დარგვის გეგმა დაამტკიცა.

მეტი ხე მეტი რაოდენობის CO2–ს შთანთქავს და ბიომრავალფეროვნების სიმდიდრეს განაპირობებს. მაგრამ ჩვენი ტყეები, კლიმატის ცვლილების, ბიომრავალფეროვნების დაქვეითებისა და ბიოეკონომიკის ზრდის გამო, მზარდი ზეწოლის ქვეშაა. 2030 წლისთვის ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიაში ხაზგასმულია ტყეების უდიდესი მნიშვნელობა და, შესაბამისად, სტრატეგია მიზნად ევროკავშირის ტყეების ფართობებისა და ხარისხის მნიშვნელოვნად გაზრდას ისახავს.

მდგრადი ბიოენერგეტიკა ევროკავშირის ენერგეტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

განახლებადი ენერგიის სხვა წყაროებთან ერთად, ბიოენერგია (სოფლის მეურნეობის გვერდითი პროდუქტებისგან, ნარჩენებისა ან წყალმცენარეებისგან მიღებული ენერგია) ხელს უწყობს წიაღისეული **საწვავის ეტაპობრივად შემცირებას** და ევროკავშირის ეკონომიკის დეკარბონიზაციას. თუმცა, ის მდგრადი მეთოდებით უნდა იქნეს გამოყენებული. ევროკომისია გვთავაზობს მკაცრ ახალ კრიტერიუმებს ტყის რესურსების არამდგრადი მეთოდებით მოპოვების აღების თავიდან ასაცილებლად და **ბიომრავალფეროვნების კუთხით მაღალი ღირებულების მქონე ტერიტორიების დასაცავად.**

ბიომასის კასკადი

მამაკაცი აღადგენს ჭარბტენიან ტერიტორიას მალი ბორში, ჩეხეთი.

კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება

კლიმატის ცვლილების გლობალური საფრთხის თვიდან აცილება მხოლოდ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

ევროპის მწვანე შეთანხმებამ კარგი მაგალითი აჩვენა და ძირითად საერთაშორისო პარტნიორებს უბიძგა, განესაზღვრათ კლიმატ-ნეიტრალურობის საკუთარი სამიზნე თარიღები. ჩვენ ახლა, ჩვენი დეტალური გეგმით, შეგვიძლია ამ მიზნების მიღწევის გზაც ვაჩვენოთ.

ლიდერის პოზიცია მსოფლიო მასშტაბით კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში ჩვენს კომპანიებს დიდ უპირატესობას აძლევს. განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებში ინვესტირებით, ჩვენ ვქმნით ისეთ მეცნიერულ ცოდნასა და პროდუქტებს, რომელიც დანარჩენ მსოფლიოსაც სჭირდება. მწვანე ტრანსპორტზე გადასვლით ჩვენ შევქმნით მსოფლიოში ლიდერ კომპანიებს, რომელიც მზარდ გლობალურ ბაზარს მოემსახურებიან.

გარდა ამისა, ჩვენ ხელს ვუწყობთ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის გლობალური ამბიციის გაძლიერებას. საერთაშორისო პარტნიორებთან **ერთად მუშაობით ჩვენ შევამცირებთ ემისიებ**ს საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ევროკავშირი ამ წინადადებებსა და იდეებს საერთაშორისო პარტნიორებს კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს კონფერენციის (COP26) მომდევნო შეხვედრაზე გააცნობს, რომელიც ნოემბერში გლაზგოში გაიმართება. საკუთარი პოლიტიკური გამოცდილებით, მრეწველობაში ლიდერის პოზიციით, კლიმატის საკითხებთან დაკავშირებული დიპლომატიითა და **ფინანსებით ევროკავშირი გლობალურ ბრძოლას კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მნიშვნელოვნად აძლიერებს.**

ევროკავშირის სამეზობლო, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის 30% კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებს მოხმარდება.

სახელმწიფო სახსრების მესამედზე მეტი, რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისათვის მსოფლიოში გამოიყოფა, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებზე მოდის.

კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს (COP25) 2019 წლის კონფერენციის სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურების სამიტი მადრიდში, ესპანეთი.

Luxembourg: Publications Office of the European Union, 2021

© European Union, 2021

The reuse policy of European Commission documents is implemented by Commission Decision 2011/833/EU of 12 December 2011 on the reuse of Commission documents (OJ L 330, 14.12.2011, p. 39). Unless otherwise noted, the reuse of this document is authorised under a Creative Commons Attribution 4.0 International (CC-BY 4.0) licence (https://creativecommons.org/licenses/by/4.0/). This means that reuse is allowed provided appropriate credit is given and any changes are indicated.

All images © European Union, unless otherwise stated.

Image credits:
Cover: Building, Bosco Verticale, Milan, Italy: Freepik.com; Solar panels: Unsplash; Forest: Freepik.com; Factory: Freepik.com
Page 2 — Earth: Pixabay; Solar panel: Unsplash; Building: NE & NW facades of The Mill / © J. Skokan M. Tůma; Young plant: Freepik.com
Page 5 — European Parliament in Strasbourg: Pixabay
Page 7 — Electric car: ©AdobeStock; Wind turbines: Thomas Galler. Unsplash; Runner: ©AdobeStock
Page 8 — Solar panels: Freepik.com; Electric car charching: Freepik.com
Page 14 — Construction worker: ©AdobeStock
Page 15 — Charging station and electric car: ©AdobeStock; Software engineer: Wikimedia Commons
Page 19 — Worker installing ventilation: ©iStock
Page 20 — Public building: ©AdobeStock
Page 22 — Forest: ©AdobeStock
Page 23 — Biomass cascade: Images 1, 2, 4 and 6: Unsplash.com; Image 5: Wikimedia Commons

Print ISBN 978-92-76-39513-3 doi:10.2775/373022 NA-02-21-151-EN-C
PDF ISBN 978-92-76-39487-7 doi:10.2775/595210 NA-02-21-151-EN-N